საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქ-
ციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოს-
ტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1.00 მანეთი

№ 43

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, ოქტომბრის 11

1921 წ.

საქ. სოც.-დემ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ლალონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ლალონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

ეკონომიური ურთიერთობისათვის

გაზეთებში მოთავსებული იყო მეტ-ად საინტერესო ცნობა რუსეთიდან საქსოვი ქარხნის გადმოტანის შესახებ საქართველოში. „ამ ოთხი თვის წინათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდუმმა, ადმრა შუამდგომლობა რუსეთის სათანადო უწყების წინაშე ერთი საქსოვი ფაბრიკის დათმობის შესახებ საქართველოსათვის. ამ საკითხის მოსაგვარებლად ცეკავშირთან შეთანხმებით გაგზავნილ იქმნა კომისია. რომელსაც დაეკალა საქმის პრაქტიკულად განხორციელება. მოსკოვიდ ნ ამ დღეებში მივიღეთ ამხ. ბუდუ მდივანის დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ საქმე სასურველად დაგვირგვინებულა, უკვე დატვირთულია ოცი ვაგონი საქსოვი ფაბრიკის აპარატებით, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩამოვა საქართველოში“. (იხ. „ტრიბუნა“ № 40.)

საქართველოში ასეთი საქსოვი ქარხნის გახსნას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის. საქართველო ეკონომიურად ძლიერ ჩამორჩენილია. რუსეთის ბიუროკრატიულმა წყობილებამ და იმპერიალისტურმა პოლიტიკამ დასცა ბ შეაფერხა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ვითარება, ბუნებრივად ყოველ ხხრივ ბდიდარი და დოვლათიანი საქართველო იძრჩობა თავის ეკონომიურს კრიზისებში და საშუალება არ აქვს თავისი ძალ-ღონით თავი დაადწიოს, ამ გამანადგურებელს მდგომარეობას, ჩვენს ქალაქებს არ ამშვენებს დიდი ფაბრიკა-ქარხნები და კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა გასვითარება ჩვენში ჩანასახის პროცესში იყო რევოლიუციის დაბყობის დროს. ჩვენში უმთავრესად ფეი მოიდგა ნარჩენმა, სპეკულანტიურმა კაპიტალმა, რომელიც არავითარ ახალ დარგებულებას არ ჰქმნიდა და არც ჰქმნის. ისე უფრო ვაჭრობის სფეროში ტრიალებდა და უკვე დაგროვილ დოვლათით სარგებლობდა. ინდუსტრიალიზაცია და ევროპის ხასიათია მრეწველობა ჩვენში უცნობი ხილი შეიქმნა და წარხულმა წყობილებამ მემკვიდრე თაობას ეკონომიურად დაცემული და გადატაკებული საქართველო გადმოსცა. არც ერთი დარგი ჩვენი მრეწველობისა არ არის განვითარებული და ზოგი მათგანი შესაბრალისს ხოგომარეობაში იმყოფებოდა და ადეესაც იმყოფება. ამ მხრით ახალ საფეიქრო ფაბრიკის გახსნას ჩვენში სწორედ დიდი ეკონომიური დირებულება ექნება. რასაკვირველია ასეთი ქარხანა, რომელიც წლიურად ერთ მილიონ არშინამდე ორგანიან ქსოვილს მოგვცემს, ჩვენს მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ მისი ეკონომიური ღირებულება როგორც სახელმწიფო საქმრეწველო ქარხანის მაინც დიდი იქნება ტ დიდ საბეურნეო კრიზისთან ბრძოლაში საგულისხმიერო ფაქტორი შეიქმნება.

მაგრამ საკითხს ჩვენ ამ მხრივ არ გვინდა მოუაროთ დღეს და უფრო გვაინტერებს მისი მეორე მხარე, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურს ურთიერთობაში გამოიხატება. ეს საკითხი მრავალ მხრით ჩვენთვის საინტერესო. ამ ეტამდე ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების ოთხი შა ვიმყოფებით და ძალი ჩვენი ბოიკოტული საქმიანობის გეგმები საბ[illegible] პუბლიკების განმტკიცებისა და საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებისაკენ ჩვენ მიმართული. ცხადია ასეთს მძიმე პირობებში გადამტანელი მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ სახელმწიფოთა ურთიერთობას და მათ ეკონომიურს დამოკიდებულებას საბოლოო გამარჯვებისათვის. თანამედროვე მძიმე გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში და ის მკაცრი სოციალური ბრძოლა, რომელიც სწარმოებს საერთაშორისო მაშტაბით ორ მოწინააღმდეგ კლასთა შორის. დაბინებით მოითხოვს რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მტკიცე კავშირისა და შეთანხმებულს მუშაობას, კაპიტალისტური ქვეყნების მთელი საქმიანობა იქითკენ არის მიმართული, რომ დასცენ რევოლიუციონური ორგანიზაციები, გაანადგურონ მასი მომავალი ძალები და ამ გზით შეუძლებელი გახადონ დიდი სოციალური ტრანსფორმაცია. ამ დიდ ბრძოლაში იმპერიალისტური სახელმწიფოები შეიარაღებულ ძალებთან ერთად, მომართავენ ეკონომიურ ბლოკადასაც, ეკონომიურ ბრძოლას. როგორც ვიცით საბჭოთა რუსეთს დღიდან თავისი არსებობისა, შემორტყმული ჰქონდა ბლოკადის მძიმე სარტყელი და ეს მკაცრი სასჯელი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მიმართ, დღესაც არ არის სავსებით მოხსნილი. აქედან ნათელია, რომ მტკიცე პოლიტიკური დამოკიდებულება და ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, აუცილებელი ხდება იმ ობიექტიურ გარემოების გამო, რომელშიაც აყენებენ ფაქტიურად ამ რესპუბლიკებს კაპიტალისტური ქვეყნები. ეს არის დაბინებითი მოთხოვნილება და აუცილებელი პირობები თანამედროვე გარდამავალ პერიოდისა. ბრძოლის პროცესები, საერთაშორისო რევოლიუციის ვითარება, მისი აჩქარებული ტემპით მსვლელობა და ხან კი შემხვეული კრიზისები მოითხოვენ რევოლიუციონურ ძალთა მობილიზაციას და მათი ყოველ ხხრივი დაბაზმვას. ეს ცხოვრების ლოგიკაა და ამ ლოგიკას ვერავინ გადაქცევა, ვისაც სურს საბოლოო გამარჯვება; ძალთა მობილიზაცია დღევანდელი დღის ლოზუნგია და ჩვენც ეს ლოზუნგი გვინდა ქართველი ხალხისა და რევოლიუციის სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

როგორც ვიღნიშნეთ საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა. მისი საწარმოო ძალები ერთობ განუვითარებელია, ჩვენმა სამეურნეო კულტურამ ვერ გამოიყენა ევროპის მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მონაპოვარი. ასეთს პირობებში განა შესაძლებელია საქართველომ შესძლოს თავისი საკუთარი ძალებით ეკონომიური ადორძინება და წინმსვლელობა? თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ვითარება გვეუბნება, რომ განკერძოებით, იზოლიაციის გზით, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია არსებობა და წინსვლელობა. კაპიტალისტურმა მეურნეობამ სხვა და სხვა მხარეები და ქვეყნები მაგარი ეკონომიური ჯაჭვებით გადაბა ერთმანეთს და მათ შორის მტკიცე ეკონომიური ურთიერთობის საფუძვლებს ჩაუყარა ნიადაგი ყოველი სამეურნეო ერთეული და ცენტრი განუყოფელის რგოლებით არის გადაბმული საერთაშორისო ეკონომიურს ცხოვრების ვითარებასთან და დამოუკიდებლად მათი წინმსვლელობა თითქმის შეუძლებელი ხდება. რამოდენიმე წლის განმავლობაში რუსეთი მოწყვეტილი იყო მსოფლიოს ბაზრებს და ამ გარემოებამაც სხვათა შორის, ხელი შეუწყო იმ დიდ კრიზისებს, რომელიც მძვინვარებს ევროპასა და რუსეთში. ბოლოს და ბოლოს, განსაკუთრებით ეკონომიური მიზეზების გამო, ორივე მხარე, მიუხედავად ინტერესთა დიდი წინააღმდეგობისა, იძულებული შეიქმნენ ეკონომიური შეთანხმების გზას დადგომოდენ. ეს ისტორიული ფაქტია და მას ვერ ვერავინ ვერ აუვლის. პატარა საქართველო მარტო შინაურის ძალებით ვერ შესძლებს აღადგინოს თავისი მეურნეობა და წინ წასწიოს ეკონომიური კულტურა. ჩვენ გარეშე დამხმარე გვესაჭიროება ამ სფეროში და ყოველი შეაძლებელი მომენტები უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ეკონ მიური ცხოვრების ასალორძინებლად. ჩვენი გზა მძიმე და ძნელია, მაგრამ ეს აუცილებელი ხდება ობიექტიურ გარემოების გამო.

ჩვენ ორგვარი საშუალება გვაქვს ამ მხრივ მივმართოთ საერთაშორისო ბაზრებს და გამოვიყენოთ იგი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ასალორძინებლად. ერთის მხრით ჩვენ ბოიკოტული ვართ საბჭოთა რესპუბლიკების ორბიტაში და მათთან ერთად ვიზიარებთ ყოველგვარ მათ გასაჭირს, მეორის მხრით ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების რკალი გვარტყია. საბჭოთა რუსეთის პრაქტიკამ დაგვამტკიცა, რომ ეკონომიური ადორძინება რუსეთის მეუძლებელი შეიქმნა ევროპის დაეხმარებლად, და დღეს ღიეობით კომუნისტების პოლიტიკოსები შეუდგნენ კონცესიებისა და საგაჭრო ურთიერთობის საშუალებით გამოიყენონ კაპიტალისტური ქვეყნები რუსეთის ეკონომიური წინსვლელობაში. ამისათვის უკვე რამდენიმე საყურადღებო ნაბიჯი გადადგმული. და რუსეთის საგარეო ვაჭრობა თავისი ტემპებთ მიმდინარეობს წინ. ცხადია საქართველოც ვერ ასცდება ამ გზას და როგორც ვიცით ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციები ამ მხრივ პრაქტიკულ საქმიანობას აწარმოებენ. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ევროპასთან კაპიტალისტურს ურთიერთობის საფუძვლებზე ა ის აგებული და ამ მხრივ მას მოგება და სპეკულიაციაც ახასიათებს. ევროპა ჩვენთან მხოლოდ კაპიტალისტურ მოგების ნიადაგზე აშენებს ეკონომიურს ურთიერთობას და იმდენად ხელს შეუწყობს ამის განმტკიცებას, რამდენადაც ეს გაანადგურებს მის ეკონომიურს ინტერესებსა და მოგების სურვილებს. მაგრამ შეუძლებელია ასეთივე საფუძვლები ახასიათებდეს ჩვენს ეკონომიურს ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკებთან. აქ რევოლიუციისა და სოციალიზმის ინტერესები სდგანან პირველს რიგში და ეს ურთიერთობაც წმინდა სოციალისტურს საფუძვლებზე უნდა იქმნეს აგებული. მოგებისა და სპეკულიაციის მომენტები გადაფენილ უნდა იქმნეს საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური პოლიტიკისა და დამოკიდებულების სფეროდან. საბჭოთა სისტემას, სოციალისტურს კულტურას, უნდა ახასიათებდეს არა კაპიტალისტური მოგებიანობა, არამედ ურთიერთ დახმარების მიზნები, საღ ინტერესთა შეგნების ნიადაგზე. გაცვლა-გამოცვლა, ეკონომიური დახმარება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, სწორედ ამ საფუძველზედ არის არის შესაძლებელი და ეს პრინციპი სარჩულად უნდა დაედვას მთელს ჩვენს ეკონომიურს პოლიტიკას რევოლიუციონურ რესპუბლიკების მიმართ, ასეთივე უნდა იქნეს მათივე დამოკიდებულება ჩვენდამი, ასეთი ურთიერთობა ძირშივე სპობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის შესაძლებლობას ერთი ერთის მეორესგან და ამყარებს შეუღალველს მეგობრულს კავშირს მათ შორის, ამ დამოკიდებულების დროს აუცილებელია, მხედველობაში იქმნეს მიღებული ყოველი ერის ინტერესი და მისი ეკონომიური, შესაძლებლობა. ჩვენ ვერ დავუშვებთ ისეთს, მომენტებს, რომ ერთის უბედურებაზე და გაყვლეფაზე და ავაგოთ მეორეს ბედნიერება და აღორძინება, რაციონალური დახმარება და განაწილება დოვლათისა მათი ინტერესთა მიხედვით.—ეს საფუძველი საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკისათვის.

საბჭოთა რუსეთის დღევანდელი ნაბიჯი, როგორც ვიღნიშნეთ, ამ მხრივ ძვირფასი და ღირშესანიშნავია. ასეთი ნაბიჯები ხელს შეუწყობენ ერთა შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის და მყარებას.

სამ. ხუნდაძე.

ფედერაციისკენ

(გაგრძელება)

III

კანტონალური სისტემა.

როცა დავხედავთ ამიერ-კავკასიის ქარტას, უურადღებით ვეძებ „თვითგამორკვევის“ გარშემო ატეხილი წლების ბრძოლებს დავინახავთ, რომ ის, რაც სხვა პირობებში ბუნებრივია ჩვენს სინამდვილეში ყველაზე მეტად არანორმალურია.

ყირიმელს უნდა გამოირკვას თავისი თავი, სურს იყოს სომხეთთან; ადაბების ან ნახიჩევანის ოლქს უნდა მიეცეს ან ბეიჯანს; ოსეთს ან ოსეთს უნდა იყვნენ ავტონომიურად, მაგრამ ცხოვრება უჩვენებს, რომ ყარაბადი ეკონომიურად უფრო მეტად დაკავშირებულია აზერბეიჯანთან ვიდრე სომხეთთან და შეუძლია მართვა აზერბეიჯანთან.

ნახჩევანი ან ადაბადა უნდა დარჩენ სომხეთის ფარგლებში, უკეთუ ჩვენ გაინდა შევადგინოთ ერთი „სახელმწიფო“. ოსეთი, თუ შეერთდნენ სამხრეთ და ჩრდილო კავკასიური ორი ოსეთები და ერთი კულტურული ერთეული შეადგინონ, მაინც და მაინც სამხრეთ ოსეთისთვის ძალიან მეტად საჭირო ეკონომიურად, ეს შეიძლება სხვა მოსაზრებითაც. საქართველოს ოსეთის ნამდვილი სამშობლო ჩრდილო ოსეთია, რადგან ზანთარით ორივე ოსეთი ერთმანეთიდან იკრეფიან. აქარას არ შეუძლიან იცხოვროს უბათუმოდ, ბათომი კი ყველაზე წინ აქარული ქალაქია და ერთნაირად საჭირო მთელ ამიერკავკასიისთვის.

სურათი ნათელია; ყარაბადს უნდა „სომხეთად“ გახდეს, მაგრამ „აზერბეიჯანის ფარგლებში“, ადაბადას ან ნახიჩევანს კი „ადერბეიჯანად“ უნდა იქმნას, მაგრამ სომხეთის „ფარგლებში“, ოსეთს ავტონომიურ ოსეთად, მაგრამ საქართველოს „საზღვრებში“, აქარას უნდა თავისუფლად იყოს, მაგრამ არა არაა ერული ბათომით, როგორც ცენტრი.

არის სხვა მდგომარეობაც. ლორს არ უნდა საქართველოსაკენ იყოს, მაგრამ არ მოუსურვებია აგრეთვე სომხეთიც. როცა საბჭოთა საქართველო ცდილობს გაავრცელოს განაჩენების თანახმად თავის ძალა-უფლება ლორზედაც, მოსახლეობა არ იღებს მას, თუმცა განაგრძობს დაჟიანებით თქმას, რომ იგი უპირატესობას აძლევს ერევანზედ მეტად ტფილისს.

მაგრამ მხოლოდ მარტო ლორი არ არის ასე „კაპრიზნი“. ბორჩალოს თათრული ნაწილი, რომელიც აგრეედვე ეკონომიურად ტფილისთან არის შეკრული, განაჩენს უგზავნის ბაქოს და მოითხოვს „აზერბეიჯანი“ იყოს, თუმცა ხელს არ იღებს საქართველოზე, ტფილისზე, ურომლისოდ იგი ეკონომიურად მოკვდებოდა.

როცა ოსეთს ან ლორს უნდათ იყვნენ ოსეთად ან სომხეთად, მაგრამ მიკრული საქართველოსთან, როცა წლების ძალადობა, ხოცვა, დარბევა, სისხლის დვრა, სამხედრო ოკუპაცია არ კმარა „დალორჩილონ“ ყარაბადი, ადაბადა, ლორი, ოსეთი და სხ. ეს გვაფიქრებს ისტორიული ფაქტებიდან გამოვიტანოთ სასარგებლო დასკვნები, უკეთუ არ გვინდა მსხვერპლად გავხდეთ ბრმა ნაციონალიზმისა და ვიყოთ უნებური გამგრძელებელი იმ ბოროტ პოლიტიკისა, რომელსაც საფუძველი დაუდვეს ამიერკავკასიაში მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატისტებმა და რომელმაც დაშხამა ჩვენი ქვეყნის მეზობლთა და გლეხთა ცხოვრება.

რ[illegible]გორ წარმოგვიდგენია ფედერაცია ამიერკავკასიაში?

IV

ნათელია, რომ წვრილ სახელმწიფოთაგან ვერც ერთმა მოახერხა შეექმნა ტერიტორია ან სიცოცხლის უნარის მქონე ძალა, მაგრამ თუ ერთ მხარეს გადავდებთ ნაციონალურ ანგარიშებს, ვცადოთ ამიერკავკასია სამ ნაწილის მაგიერ „გავყოთ“ ოცდა სამ კანტონად, „განვახორციელოთ“ კანტონალური სისტემა, მაგ. შვეიცარიული, ეკონოგრაფიული პრინციპთან მხედველობაში მივიღებთ რა ეკონომიური მხარეც, მაშინ დავინახავთ, რომ ყველა უთანხმობა და დავა, ყველა კულტურულ-ეკონომიური საკითხები, როგორც ეროვნული საღ[illegible] მოთხოვნილებანი, სრულებით გადაჭრილი იქნებიან.

ბაქაზეთი, ოსეთი, აქარა, ყარაბადი, არეშის ოლქი, ადაბადა, ლორი, ახალქალაქი, ზანგეზური და ნახიჩევანი სრულებით დაკმაყოფილებული იქნებიან.

ცნობილია ზვიცარიული სისტემა; იქ არის ოცდა სამი კანტონი, რომელთაგან, თუ კი მეხსიერება არ გვდალატობს, ერთი კანტონი ლაპარაკობს იტალიანურ ენაზედ (ტესენის კანტონი), ხუთი ლაპარაკობს ფრანგულ ენაზედ (ჟენევა, ვო, ვალე და სხვა) დანარჩენი გერმანულ ენაზე. გვგონია, რამდენად გასაგებია იტალიანურად მოლაპარაკე კანტონის არსებობა (იგი ერთად-ერთია) იმდენად და უფრო მეტად გაუგებარია ხუთი ფრანგულ და ხუთმეტზე მეტი გერმანულ ენაზედ მოლაპარაკე კანტონების არსებობა გარეშე ფედერაციისა. გარდა გეოგრაფიულ მდგომარეობისა, ეკონომიურმა და კულტურულმა განვითარებამ ისტორიულად გამოუკვეთეთ ფრანგულ და გერმანულ ენაზე მოლაპარაკე კანტონები ა, მაგ. ინდუსტრიული ჟენევა, რომელიც სულიერ კავშირით უფრო ახლო სდგას ლოზანასთან, თავის თავს უფრო მეტად დაკავშირებულად გრძნობს გერმანულ ენაზე მოლაპარაკე და არა ნაკლებ ინდუსტრიულ ციურიხთან, ვიდრე ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ მეცხვარე ვალესთან.

თუ ასეთსავე მრავალკანტონიან სისტემას მივიღებთ ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიურ-ეტნოგრაფიული ცამეტი ახოცდასამი კანტონების შექმნით (უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, უკვე ბუნებრივად არსებულ კანტონების გადაკეთებით), ამიერკავკასია დაიხურებოდა „თვითგამორკვეულ“ ერთეულებით, შინაგან ფართო ავტონომიურ ოლქებით, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდნენ „ამიერკავკასიის“ ცენტრთან.

მაშინ, რასაკვირველია, ადარ იქნებოდნენ ადაბადის და ყარაბადელს, ნახიჩევანის და აქარის, ოსეთის და ლორის და სხვა „სადავო“ და „გადაუწყვეტელი“ საკითხები. შეიძლება მოხდეს, რომ სომხებით ან თათრებით, ან ქართველებით დასახლებული ერთგვარ ტერიტორიაზე ერთ კანტონის ადგილას იყოს რამდენიმე კანტონი.

რა უშავს? დაე ერთ მხრივ იქმნენ რამდენიმე სომხური კანტონი, რამდენიმე ქართული, მეტი ან ნაკლები თურქული (თათრული) კანტონები, მეორე მხრივ მხოლოდ ერთი კანტონი, მაგალითად, ოსური, ერთი აქარული კანტონი და სხვა.

შეუძლიათ ჩვენ გვიპასუხონ, რომ კანტონალურ სისტემას შეუძლია დაადგინოს ერთი ხალხის კულტურული ცხოვრების ძალა. შემკვდარი პასუხია. პირიქით, ბრავალკანტონიანი სისტემა საშუალებას აძლევს ერთ ქვეყნის, ერთ ხალხის ყველა შემადგენელ ნაწილებს გამოაჩინოს ენერგიის მაქსიმუმი. რომანული (ფრანგული) შვეიცარია დაყოფილია მრავალ კანტონებზე, მაგრამ მაინც თავის თავი კულტურულ თვალსაზრისით ერთ მთლიან ერთეულად და ძლიანად სთვლის.

იგივ შეიძლება ითქვას გერმანულ შვეიცარიაზე. სხვანირად არც კი შეიძლება. ჩვენი ქვეყნის ხალხების კულტურა სრულებით არ დაზიანდება მრავალ კანტონიან სისტემისაგან.

მ. საროიან.

(დასასრული იქნება)

ყარსის კონფერენცია

მოსკოვი. ოქტომბრის 7. ყარსში გაიხსნა კონფერენცია მკგობრულ ხელშეკრულების დასადებად ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს—აზერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოსა, ერთის მხრივ და ოსმალეთს შორის,—მეორეს მხრივ. კონფერენციაში მონაწილეობს რ. ს. ფ. ს. ო დელეგატი. ხელმომები წარმომტებით მიმდინარეობს. უკვე მიღწეულია შეთანხმება ბათომის ნავთსადგურთან ოსმალების მიერ საარგებლობის ფარგლების და ოსმალეთის საქონლის ტრანსიტის საკითხების შესახებ. თანდათან ჩარჩევენ მეთანხმებას სხვა საკითხებშიც. მოელიან, რომ კონფერენციის მუშაობას შედეგად ეოყვება ამ თვის შუა რიცხვებში ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების მიერ საერთო ხელშეკრულებათა დადება ოსმალეთთან. ამ ხელშეკრულებამ უნდა დაამყაროს მუდმივი და მტკიცე ურთიერთობა ჩვენს ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე და უზრუნველყოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძმეიდრობიანი თანამშრომლობა ოსმალეთთან.

ბაბილონი

ჩემში ჩაიქცა ძველ ქვეყნების მზის მხურვალება.
ბაბილონიდან ქარავნები ქაირს მიდიან.
მრუმში ქალაქი მკვდარ ხალხების პირამიდია.
ასარგადონი, ბალტასარი,—კრთიან რვალებად.

ძვირფასი ქვებით მინდა თქვენი გაბრწყინვალება.
ო მეფეებო! ო ქვეყნებო: ტიროს, მიდია!
აპოკალიპსის მეძავები ტანს ღმერთს ჰყიდიან.
მათი ავხორცულ შრიალების მესმის წვალება!

აქ ანათებდა ჰამურაბის სვეტს კანონები
და ნინევია დედოფლობდა—ჩემი ტრფიალი.
დამარცხებული აქ მოჰყავდათ ბაწრით მონები.

უამრავ ხალხთა გადავიდა აქ ხეტიალი.
ჩემში წარსული მოტრიალდა,—ასე მგონია,
რომ ეს ქვეყანა დასანგრევი ბაბილონია!..

შალვა კარმელი.

ქალთა ორგანიზაციის საკითხი

(პასუხი ამხ. კატო მიქელაძეს *).

საინტერესოა ამხ. კატოს ერთი დებულება, რომ „ქალთა ორგანიზაციებმა ორომტრიალი კი არ შექმნეს, არამედ ქალთა ნამდვილი რევოლიუციაო" (ხაზი ჩვენია ს. ა.)

„ქალთა ნამდვილი რევოლიუცია" ახალი ამბავი. რამდენიც არ უნდა ფურცლოთ რევოლიუციათა ისტორია თქვენ ვერ იპოვით ქალთა ნამდვილ რევოლიუციას".

რომ ვინმე პატარა კაცუნას დაეწერა ასეთი აზრი, ჩვენ ვიფიქრებდით, რომ იგი „ქალთა რევოლიუციაში" გულისხმობს ქალების თავდასხმას მინისტრებზე ქოლგის ტარებით, დემონსტრაციების გამართვას ქუჩებში და სხვას, მაგრამ როდესაც ამას სწერს ამხ. კატო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის სხვას გულისხმობს.

ჩვენ ვწერდით რომ „ქალები ცდილობდენ ბრძოლას არა მარტო პოლიტიკური უფლებისათვის, არამედ ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას ვაჟეობის წინააღმდეგ".

ამხ. კატო მიქელაძე კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან როდის, სად სწარმოებდა „ომი" ვაჟების წინააღმდეგ.

ჩვენ გვეონია, რომ ყოველი ბრძოლა არ არის ომი, ჩვენ როდესაც ბრძოლის შესახებ ვწერდით, ხხვედველობაში გვქონდა იდეური ბრძოლა; რომელსაც აწარმოებდნენ ქალები, ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის ნიადაგზე მდგომნი, ეგ. წოდ. ფემინისტები.

მაგალითები. თუ ვაჟების ნაბრძანები და ნაწერი ვისმესთვის უფრო საეკვო იქნებოდა და ამიტომ ხოციალიხტ ქალების აზრს მოვიყვან.

ალ. კოლონტაი სწერს „ისინი (დამოუკიდებელი ორგანიზაციის მომხრენი) კმაყოფილებით ჩამოთვლიან სოციალისტთა „коварные измѣны"-ნებს „ქალთა პოლიტიკური განთავისუფლების ბრძოლაში" *) იქვე განაგრძობს „ქალთა კავშირის" პირველ ნომერში 1908 წ. სპეციალი სიაა მოთავსებული სოც.-დემოკრატების „ცოდვების" შესახებ, ქალთა პოლიტიკურ თანასწორობის პრინციპის წინააღმდეგ ... დაბრმავებული თავისი ლოზუნგებით —„ქალთა გაერთიანება მსოფლიოს დასაპყრობად"—ისინი ხელს უწვდიან გლეხისა და პროლეტარ ქალს... ცდილობენ „წმიდა ქალური" სიმების ღღერას, რომ ამით მიიზიდონ ქალთა გული და ამიტომ ქადაგებენ ვაჟთა ხიძულვილს (ხაზი ჩვენია. ს. ა.) ისინი კლასობრივი შეგნების უარყოფას „სქესობრივი ჩაგვრის" ხელოვნური იდეით ფარავენ და ცდილობენ, მუშა ქალის ძონური მდგომარეობის მთელი დანაშაულობა. შეძლებულ კლასთა მხრებს მოაშორონ და დააკისრონ იგი აბსტრაქტულად ალებულ ვაჟებს. ისინი ამბობენ „ვაჟებს უნდათ ქალის მონობა". მათთვის თავის გაუსწორებელ ენაზე, ქალთა საკითხი უფრო განუზომელი და ფართოა, განუზომელი და მნიშვნელოვანი ვიდრე მუშათა დიდი საკითხი" **).

ბევრი ციტატებია რომ ამ ავაპრელოთ წერილი უნდა ადინიშნოს, რომ ფენომენზმა (ანა როგორც ქალთა თანასწორობის გამომხატველი ტერმინი არამედ როგორც პოლიტიკური მიმართულება) წმინდა წყლის ბურჟუაზიული მოვლენაა, რომელიც ცდილობს მუშა ქალების თვალების ახვევას რაღაც ორგანიზაციულ ქმნილის „წმინდა ქალური" კოლექტივის, შექმნას მოითხოვს დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახით, სადაც თავს მოიყრის ყოველი ჯურის ქალი, პროლეტარი ქალით დაწყებული, ან უკეთ, ბურჟუა ქალით დაწყებული და პროლეტარით გათავებული. ასეთი ორგანიზაციის მიზანი პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობისათვის დავაში გამოიხატება, რომელიც არსებითად მიზნად ისახავს მუშა ქალთა ორგანიზათიულ დარაზმვის ხელის შეშლას მშრომელთა მასასთან ერთად, რადგან მთლიანი მუშური ფრონტი, გალაღებულ „დამებს" მოუსპობს მყუდროებას და ბოლოს მოუღებს მათ პარაზიტობას. როდესაც ჩვენ გვესმის ბურჟუაზიულ ბანაკიდან, რომ „ებრძოლეთ ვაჟებს, დაპკათ სოციალისტებსო" ჩვენთვის ეს გასაგებია, ხოლო, როდესაც ამხ. კატო მიქელაძე, სოციალისტი ქალი, ამბობს „ხოციალიხტები განურჩევლათ პარტიისა ომს უცხადებთ ქალებსო" იგი მათ საქციელში „ხედავს გაბატონებული სქესის ვეტოს" მას წარმოუდგენია, რომ „ხოციალური პრინციპიგებიო" განვითარებულია ვაჟთა ეგოიზმი", რომ ისიც ქალთა უფლებისათვის „არც იბრძვიან და არც ქალებს აძლევენ უფლებას ბრძოლისათვის", როდესაც ამხ. კატო დასკვნის, რომ „როგორც მუშათა კლასი ვერ მიანდობს თავის ხაკმეს კაპიტალისტებს გადასაწყვეტად, ვერც ქალები მიანდობენ თავიანთ დედაკაცურ ინტერესებს ვაჟებს" ჩვენ ეს მეტად გვაკვირვება.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ვაჟები ქალების დაუნდობელი მტერია. ზევით კი ამხ. კატო მიქელაძე იმბობდა რომ ქალები არ ომობენ ვაჟებს და არც არის ეს საჭიროო. ჩვენ გვინდა ვკითხოთ ამხ. კატოს არის აქ ულოგიკობა თუ არა?

თუ ვაჟები ქალთა დამონების საქმეს აწარმოებენ ისე, როგორც ბურჟუაზია იმონებს პროლეტარიატს ნუ თუ თქვენი პირდაპირი მოვალეობა არ არის, როგორც რევოლიუციონერი ქალის ვაჟების წინააღმდეგ ისეთი ბრძოლა გაეჩაღო როგორსაც პროლეტარები აწარმოებენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ?

ხერ. ამაღლობელი.

მცირე პასუხი

ბოლშევიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა გაუკვირვებია იწვევს. ჰკონიათ, ბოლშევიკები მენშევიკების გზას დაადგნენ და მათი დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკა იყოს იგივე მენშევიკების პოლიტიკა.

ჩემს წერილში „რა განსხვავებაა?" მე შევეხე ამ საკითხს. ბ. გვეცი სრულიად ნათელი და გარკვეული პასუხი: მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის ამ საკითხში არის ძირითადი განსხვავება, რომელიც გამომდინარეობს სრულიად სხვა და სხვა და დიამეტრალურად დაპირისპირებულ მიზნებისაგან. „მენშევიკების მიზანი იყო ხელი შეეწყო კლასთა ფორმაციისათვის, ბოლშევიკების მიზანია ხელი შეუწყონ კლასთა გაუქმებას". „მენშევიკები ხელს უწყობდენ კლასთა განვითარებას, ჩამოყალიბებას მშრომელთა ხარჯზედ." წიეადმდეგ ამისა „ჩვენ (სოც.-ფედერალისტებმა) გადაჭრით დავადექით სახელმწიფო კაპიტალიზმის გზას, როდესაც უპირატესობა ეძლეკა საზოგადოებრივ წარმოებას, კოოპერატიულს, მუნიციპალურს და სახელმწიფოებრივს". „მენშევიკებმა კი ირჩიეს გზა კაპიტალიზმის სტიქიური განვითარებისა, კლასთა შემნა-ჩამოყალიბებისა. მთელი მათი პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ დარიბი წვრილი მესაკუთრე გაპროლეტარებულიყო და მდიდარი გაკაპიტალისტებულიყო. ამას ხელს უწყობდენ სახელმწიფოებრივი მასშტაბით".

„მენშევიკური დიქტატურის საშუალებით მუშათა კლასს ემოძრავებენ კაპიტალისტებს, ადგილებდენ ექსპლოატაციას".

„ბოლშევიკების ახალი კურსი—ესაა გზა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისა, ჩვენი ძველი გზა".

„სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი მშრომელთა ბატონობის! დროს, არის ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც აუქმებს, (პობს კაპიტალისტთა კლასს და მის ბატონობას. მენშევიკები კი ხელს უწყობდენ ამ კლასის შექმნას და გაძლიერებას. ესაა განსხვავება".

ვგონებ ამაზე უფრო გარკვეული და ნათელი პასუხის მიცემა დასმულ კითხვაზე არც კი შეიძლება. მაგრამ ერთი „ქართველი მარქსისტი" მაინც ვერ ხედავს აქ გარკვეულ პასუხს!.. (იხ მისი წერილი „ტრიბუნის" № 41-ში) რა გაეწყობა? საკმარისია კაცი მარქსისტი იყო, რომ ერთ და იმავე პასუხს გარკვეულიც უწოდო, გაურკვეველიც და გარკვეულ-გაურკვეველიც..

პატივცემული ოპონენტი ეხება იმ თეორიას, რომელიც სახელმწიფო კაპიტალიზმს მისადებად სთვლის მუშათა დიქტატურის დროს და ამბობს: „ეს თეორია მართალია და იმავე დროს უადგილოა". ეს წმინდა წყლის სოფისტიკაა და ასეთი ვარჯიშობა ჩვენ არ გვაინტერესებს. ჩვენ როცა ვლაპარაკობდით სახელმწიფო კაპიტალიზმზედ, მხედველობაში გვქონდა ჩვენში არსებული პირობები და არა ინგლისი, სადაც „ქართველ მარქსისტსაც" შესაძლებლად მიაჩნია, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმმა სოციალისტური ელფერი მიიღოს მუშათა მთავრობის ხელშა. რუსეთში კი ეს შეუძლებლად მიაჩნია. იმიტომ, რომ ინგლისში განსაზოგადოებული სამი სამრეწველო დარგი „წარმოადგენს იქნება მთელი ნაციონალური მეურნეობის 70—80 **პროცენტსო**". აქ ილიუზიის შესაქმნელადაა მოყვანილი დიდი რიცხვი 70—80 პრ-ც თორემ ჩემმა ოპონენტმა ძალიერ კარგად იცის, რომ ინგლისში მაღაროები, ტრანსპორტი და საქსოვი ქარხნები არ წარმოადგენს მთელი ნაციონალური მეურნეობის 70—80 პროცენტს.

გვეკითხებიან: როგორც დაგროვდება ქონება მუშათა ხელში სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს, თუ წარმოება იჯარით იქნება გაცემული კაპიტალისტებზედ?

გვიპასუხოს „ქართველმა მარქისტმა": სად მიდიოდა იჯარა, როცა წარმოება ეკუთვნოდა კერძო პირებს და სად წავა იჯარიდან ადებული ფულები, როცა ამ წარმოების პატრონი სახელმწიფოა? რასაკვირველია უკეთესია, როცა სახელმწიფო არ მიმართავს იჯარას და თვითონ ჰკიდებს ხელს მეურნეობას. ჩვენ სწორედ ამის მომხრე ვართ.

ბოლშევიკებიც ყველაფერს როდი იძლევიან იჯარით. ზოგ წარმოებას თვითონ იტოვებენ ხელში და მიისწრაფვიან თანდათან მთელ მეურნეობას თვითონ გაუძღვენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პოლიტიკაც ახლო მომავალში ვარაუდობს მსოფლიო რევოლიუციას.

„ქართველი მარქსისტი" ამ გარემოებას არ უწევს ანგარიშს და განაგრძობს: „სოფელშიაც სავსებით განმტკიცდება ბურჟუაზიული ურთიერთობა, თუ დაშვებულ იქნა თავისუფალი დაქირავება მუშის. მე შემიძლია უწინასწარმეტყველო ომეგას (და ფ. მახარაძეაც), რომ ეს ჩქარა მ-ხდება ბოლშევიკურ რუსეთში. შესაძლებელია დაუშვან „ოფის იჯარაცა". შესაძლებელი გაცილებით მეტი ადმოჩნდება, თ-კ-ი-ბ-ს-ა-ბ-ა-ბ-ა-ს შევუდგეს თ-ა-ს-ა-ბ-ა-ბ-ა-ბ-ა, რომ ჩვენში ასე გამოიყენეს ბ-ა-ბ-ა-ბ-ა-